სამაგისტრო პროექტი: მეთადონი, როგორც ჩანაცვლებითი თერაპია

და მისი გავლენა ზიანის შემცირებაზე

ნუცა კირთაძე

თამარ ბობოხიძე

თამთა მჭედლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომის პროექტი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნეს სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

განაცხადი

როგორც, წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქყვენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნუცა კირთაძე

თამარ ბობოხიძე

თამთა მჭედლიშვილი

17.06.2019

Abstract

Introduction: Master's thesis concerns methadone replacement therapy as one of the tools to reduce harm. In particular, drug addiction and related dangers, as well as harmful effects from the use of opioid and the ways of defense are discussed. The paper discusses the following hypotheses: The Methadone replacement therapy program reduces the harm caused by opioids to drug addicted individuals.

Methodology: Qualitative and quantitative research was selected for the completion of the Master's work. In the framework of qualitative research, an in-depth interview with the staff of medical institution and beneficiaries involved in the program was conducted. In the scope of quantitative research the survey of Georgian population was conducted through the closed questionnaire.

Results: Methadone replacement therapy is functioning successfully in Georgia at this stage, but changes are necessary to improve the program.

Recommendations: Changing the programm administration rules, additional services (to improve the effectiveness of replacement therapy), the amendments at the legislative level.

Key words: Methadone replacement therapy, opioid replacement therapy.

აბსტრაქტი

შესავალი: სამაგისტრო ნაშრომი ეხება მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიას, როგორც ზიანის შემცირების ერთ-ერთ ინსტრუმენტს. კერძოდ, განხილულია ნარკოდამოკიდებულება და მასთან დაკავშირებული საფრთხეები, ასევე ოპიოიდების მოხმარებისგან გამოწვეული მავნე შედეგები და მათგან თავდაცვის გზები. ნაშრომი განიხილავს შემდეგ ჰიპოთეზას: მეთადონის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა ამცირებს ოპიოიდების მავნე ზემოქმედებით გამოწვეულ ზიანს ნარკოდამოკიდებულ პირებში.

მეთოდოლოგია: სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფისათვის არჩეული იქნა თვისობრივი და რაოდენობრივი კველევა. თვისობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ სამედიცინო დაწესებულების პერსონალთან და პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებთან. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში კი განხორციელდა საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვა წინასწარ შედგენილი დახურული კითხვარის მეშვეობით.

შედეგები: ამ ეტაპზე საქართველოში, მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპია წარმატებით ფუნქციონირებს, თუმცა პროგრამის სრულყოფისათვის აუცილებელია ცვლილებები.

რეკომენდაციები: საჭიროა პროგრამის ადმინისტრირების წესის ცვლილება, დამატებითი სერვისები (ჩანაცვლებითი თერაპიის ეფექტურობის ასამაღლებლად), ცვლილებების განხორციელება საკანონმდებლო დონეზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპია, ოპიოდებით ჩანაცვლებითი თერაპია, ზიანის შემცირება.

აბრევიატურა:

ოჩთ-ოპოიდური ჩანაცვლებითი თერაპია

(HBV) –B ჰეპატიტის ვირუსი

აივ- ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი(შიდსი)